I

ტესტი ლიტერატურაში

2013

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. წერითი დავალება.

ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

ყურადღებით გაეცანით საგამოცდო ტესტის ბუკლეტს და შემდეგ შეავსეთ პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტში ჩაწერილი პასუხები მხედველობაში არ მიიღება.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

პასუხების ფურცელში წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის გამოყოფილი ადგილები.

შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ორივე წერითი დავალების შესრულება სავალდებულოა. შეგიძლიათ თხზულებები ტესტის ბუკლეტში ჯერ შავად დაწეროთ, ხოლო შემდეგ გადაათეთროთ.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!
გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!
არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(2) **1. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი იაკობ ხუცესისა და შუშანიკის პირველი დიალოგიდან:**

„ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსა იყო ნეტარი შუშანიკ. და ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე და ვარქუ ნეტარსა შუშანიკს: – ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო. ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტეისსა, ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსვილმან, საძოვარი პოოს შენ თანა“.

1. *რა* „ღუაწლის“ შესახებ ესაუბრება იაკობი დედოფალს?
2. ამ მონაკვეთის მიხედვით, *რამ (ვინ)* შეიძლება შეუშალოს ხელი შუშანიკს სარწმუნოების დაცვაში? *(ციტირება დაუშვებელია!).*

(6) **2. გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნის“ ის ეპიზოდი, რომელშიც ფატმანი ნესტანის ამბავს უყვება ავთანდილს.**

1. *რატომ* არ უმხელდა თავდაპირველად ფატმანი ქმარს იმას, რომ სასახლეში ნესტანს მალავდა?
2. *რატომ* გადაწყვიტა მან სასახლეში ნესტანის ყოფნის ამბავი უსენისათვის გაემხილა?
3. *რა* პირობით გაუმხილა ფატმანმა უსენს ეს საიდუმლო?
4. *როდის* გაახსენა მან ქმარს ეს პირობა?
5. უსენის *რომელი* საქციელით დადასტურდა, რომ ფატმანი ქმარს თურმე სწორად აფასებდა?
6. უსენის *რა* თვისება ჩანს პოემის ამ ეპიზოდში?

(2) **3. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:**

„მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების,
ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხვების“.

1. ავტორის აზრით, *რა* შეიძლება მოჰყვეს სიმართლის თქმას თავად მთქმელისათვის? *(ციტირება დაუშვებელია!).*
2. დაასახელეთ, კონკრეტულად *რის* გამო ამბობს ავტორი, რომ უმჯობესია, გასაკიცხი გაიკიცხოს *(ციტირება დაუშვებელია!).*

(2) **4. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო...“.**

1. *რას* უსაყვედურებს პოეტი ბანოვანს? *(შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).*
2. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით სტრიქონი, რომელიც მშვენიერების დანიშნულებას გამოხატავს *(შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).*

(2) **5. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „მგზავრის წერილები“.**

1. *რა* იდეას განასახიერებს ამ მოთხრობაში თერგი? *(შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).*
2. ქართველების მიმართ რუსი ოფიცრის *როგორი* დამოკიდებულებაა გამოხატული ამ ნაწარმოებში?

(2) **6. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.**

1. *რა* გარემოება ამძიმებს საფარ-ბეგის დანაშაულს?
2. *რატომ* იკლავს თავს ჰაჯი-უსუბი?

(4) **7. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“.**

1. ალუდამ თქვა – მტერს იმიტომ არ მოვკვეთე ხელი, რომ ღირსეული ვაჟკაცი იყოო. *რა* მიუგეს მას ხევსურებმა?
2. *რა* მოიმოქმედა მინდიამ ალუდას სიმართლის დასამტკიცებლად?
3. *როდის* მიიღო ხევისბერმა გადაწყვეტილება – თემიდან მოეკვეთა ალუდა?
4. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ამ პოემის მთავარი სათქმელი.

(3) **8. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.**

1. *დაასახელეთ* ბეკინა სამანიშვილის დამახასიათებელი ძირითადი თვისება.
2. *დაასახელეთ* არისტო ქვაშავიძის დამახასიათებელი ძირითადი თვისება.
3. *დაასახელეთ* კირილე მიმინაშვილის დამახასიათებელი ძირითადი თვისება.

(2) **9. გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“.**

1. ქართული საზოგადოების *რომელ* ნაწილს გამოხატავს სიმბოლურად თეიმურაზ ხევისთავის მხატვრული სახე?
2. *რატომ* იყო ეს რომანი მიუღებელი ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის?

(1) **10. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „მთაწმინდის მთვარე“ ვკითხულობთ:**

„მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე...“.

რა მხატვრული საშუალებაა: „შუქთა მკრთალი მძივით“?

(3) **11. გაიხსენეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.**

1. *რა* შინაარსის სურათი დახატა არსაკიძემ, რის გამოც კათალიკოსმა ვეღარ გაბედა მისი დაცვა მეფის რისხვისაგან?
2. *როგორ* შეიტყო მეფემ არსაკიძის მიერ დახატული სურათის შესახებ?
3. *რა* იყო დიდოსტატის დასჯის ნამდვილი მიზეზი?

(1) **12. გაიხსენეთ ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი“.**

რატომ დასაჯეს მთავარი პერსონაჟი სიკვდილით?

II. წერითი დავალება

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **<u>დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება</u>**.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის. ეს ნაწერი <u>არ სწორდება</u>.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი შოთა რუსთველის პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“:

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა,
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწვილობასა.
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.
არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა, ჭირთა მალვა,
თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.
ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.
მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჩივნოს?
ამის მეტი რამცა ირგო: მას ავნოს და თვითცა ივნოს!
რათამეღა ასახელოს, რა სიტყვითა მოაყივნოს!
რა ჰგავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს.
მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა:
ვინცა უყვარს, რად აყივნებს მისთვის მკვდარი მისთვის წყლულსა?!
თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად აყივნებს, რაცა სძულსა?!
ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ფრანსუა ვიიონის პოემიდან „დიდი ანდერძი“:

LXV
იგი, ვის ყმადაც ვეფიცე მაშინ,
როცა სასწრაფოდ ვტოვებდი პარიზს,
ვის გამოც ზრუნმა იძალა ხმაში,
ვის გამოც თავში ბრუნავდა ქარი,
ვინც დახრა გული ეჭვის ზაფრებით
და საქალეთი ვინც შემაზარა,
თავს თუ იქცევდა, სხვა არაფერი,
ეთქვა დალოცვილს... (გეტყვის, რას არა!)

LXVI
ჩემთან, ჩემს გვერდზე – ჩემი შეტყობით –
არ ეცვლებოდა წამით გუნება,
ჩუმად ისმენდა, რასაც ვეტყოდი,
არც იწონებდა, არც იწუნებდა,
მეტიც, როდესაც ჩურჩულით ყურთან
დავეხრებოდი, არც ირხეოდა,
იმედის ჯაჭვზე მეყეფა, სურდა,
დაბმულს მეყეფა მისი თეოდან.

LXVII
მაგრამ მთავარი ჯადო რაც არი,
ერთი საგანი სხვად მომალანდა,
საღამო – დილად, ფქვილად – ნაცარი,
ხუცესი – ალმად, ჯორი – ალამდრად,
საყდრის გუმბათად – ფიალის ფსკერი,
აბატი – პაჟად, ზუჩად – ბადია...
ზის ანდაზაში და ფიქრობს შტერი:
„ხარის ბუშტია თუ სანათია?“

LXVIII
...წყალწყალა ლუდი – კამკამა ღვინოდ,
თვალის ამხელი – მტრად დაუნდობლად,
როცა უნდოდა, აღაპი – ლხინად,

ლხინი – აღაპად, როცა უნდოდა,
ცის კიბედ – თოკი, ჭერში მისკვნილი,
სამოთხის ჩიტად – ყვავის ბახალა,
ციხე-დარბაზად – ქარის წისქვილი,
ისე რა გოგო – მზეთუნახავად.

LXIX
ასე მიბამდა თვალს სიყვარული,
დაგმანულ კართან მიმაგდო ბრიყვი.
ის ვინც, – წაგიხდა ებნის ჟღარუნი,
მშრალზე დაგსვესო, – არ მორჩა ხვიხვინს,
ვნახოთ, ბატონო, თუ გაძლებს ჩემდენს,
როდესაც ტრფობა ჩემსავით დაწვავს,
გაშპება პირველ ლახვართა შემდეგ,
ხელთ შეატოვებს კურტაკს და საცვალს.

LXX
ვგმობ ტრფობას, ვამსხვრევ მისეულ ყალიბს,
სისხლით და ცრემლით ვუმართავ ბრძოლას,
წავშალე ცოდვის ყოველი კვალი
და ნაისრალი აღარსად ბოლავს.
მივდივარ ხელ- და გულცარიელი,
აწ ქება მისი, ვაცხადებ, სხვამ თქვას,
მერხქვეშ ამოვდე ჩემი ვიელი,
აღარ ვეკუთვნი მიჯნურთა ამქარს.

(ფრანგულიდან თარგმნა ***დავით წერედიანმა)***

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის შოთა რუსთველის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
- იმსჯელეთ, რა არის ფრანსუა ვიიონის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
- იმსჯელეთ, რა აქვს ამ ორ ტექსტს საერთო და რა განასხვავებს მათ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს:

„ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო... საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა“.

არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით ეს მოსაზრება:

- თქვენ მიერ შესწავლილი მხატვრული ლიტერატურიდან მოიყვანეთ ერთი ან რამდენიმე არგუმენტი მოცემული მოსაზრების გასამყარებლად ან უარსაყოფად.
- იმსჯელეთ თქვენ მიერ დასახელებული ნაწარმოების მხატვრული ღირსებების შესახებ.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია (ახსენით, რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ილია ჭავჭავაძის მოცემულ თვალსაზრისს).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შავი სამუშაოსათვის:

ლიტერატურის ტესტის შეფასების კრიტერიუმები

I. ქართული ლიტერატურა

1. იაკობი აფრთხილებს შუშანიკ დედოფალს, რომ იგი მოწამებრივი ღვაწლისათვის უნდა მოემზადოს. შუშანიკს სარწმუნოების დაცვაში შეიძლება ხელი შეუშალოს ეშმაკმა.
1. მოწამებრივი ღვაწლის შესახებ ----------*1*
2. ეშმაკმა ----------*1*

2. თავდაპირველად ფატმანი ქმარს სახლში ნესტანის ყოფნის ამბავს იმიტომ არ უმხელდა, რომ არ ენდობოდა მას, როგორც უპირო ადამიანს. ფატმანმა უსენს სასახლეში ნესტანის ყოფნის ამბავი იმიტომ გაუმხილა, რომ ეშინოდა, მაინც გაიგებს და დამსჯისო (მარტო ვერ მოაგვარებდა ამ საქმეს, ვერ გაარკვევდა ქალის ამბავს). ფატმანმა მხოლოდ იმ პირობით გაუმხილა უსენს სასახლეში ნესტანის ყოფნის ამბავი, რომ ის ამას არავის ეტყოდა. ფატმანმა ქმარს ეს პირობა მაშინ გაახსენა, როდესაც ის მეფესთან წასასვლელად ემზადებოდა. მეფესთან მისულმა უსენმა ფატმანისათვის მიცემული ფიცი გატეხა და ნესტანის ამბავი გაამჟღავნა. პოემის ამ ეპიზოდში ჩანს უსენის პირუმტკიცობა.
1. შიშობდა, რომ გაამჟღავნებდა ----------*1*
2. ქმრის რისხვის შეეშინდა ----------*1*
3. არსად გაამხელდა ----------*1*
4. მეფესთან რომ მიდიოდა ----------*1*
5. პირობის დარღვევით ----------*1*
6. ფიცის გამტეხია ----------*1*

3. ავტორის აზრით, სიმართლის თქმა თავად მთქმელს დააზარალებს. გასაკიცხი იმიტომ უნდა გაიკიცხოს, რომ ადამიანი კრიტიკას მოერიდება (სხვები გაფრთხილდებიან და იმავეს აღარ ჩაიდენენ).
1. სიმართლის მთქმელი დაისჯება ----------*1*
2. ადამიანები მეტ სიფრთხილეს გამოიჩენენ ----------*1*

4. პოეტი ბანოვანს უსაყვედურებს, რომ მას არ სწამს ადამიანთა შორის მარადიული სიყვარულის არსებობისა („რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?“). მშვენიერება ზეციდან მოსული ღვთიური ნათელია, რომელიც ადამიანის შინაგან სამყაროს ასხივოსნებს („მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული, რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული“).
1. არ სჯერა სიყვარულის მარადიულობისა ----------*1*
2. მშვენიერება ადამიანის სამყაროს ასხივოსნებს ----------*1*

5. თერგი განასახიერებს მოძრაობის, აქტიური ცხოვრების იდეას. რუსი ოფიცრის სახე გამოხატავს რუსეთის შოვინისტურ (ქედმაღლურ, ამპარტავნულ) დამოკიდებულებას დაპყრობილი ქვეყნების მიმართ.
1. აქტიურობის ----------*1*
2. ცინიკური ----------*1*

6. საფარ-ბეგის დანაშაულს ის გარემოება ამძიმებს, რომ სტუმრად იმყოფებოდა ძიძიშვილთან, რომელმაც მისი სურვილის შესრულების გამო თავი საფრთხეში ჩაიგდო. გამზრდელი თავს იმიტომ იკლავს, რომ აღზრდილის ამორალური საქციელის გამო პასუხისმგებლობას გრძნობს.
1. მან ძიძიშვილობის ადათი დაარღვია ----------*1*
2. თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას ----------*1*

7. ალუდას ნათქვამს ხევსურებმა უპასუხეს, სიკვდილი გერჩივნა სიცრუის თქმასო („გამოჭ-ქცევიხარ ქისტიშვილს, გადუქცევიხარ ქალადა“). მინდიამ ალუდას სიმართლის დასამტკიცებლად მუცალის მკლავი მოიტანა. ხევისბერმა ალუდას თემიდან მოკვეთის გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როდესაც ალუდამ თვითნებურად შესწირა შავი კურატი მოკლულ ქისტს. ამ პოემის მთავარი სათქმელია – თავისუფლად (პროგრესულად) მოაზროვნე პიროვნებაზე ჩამორჩენილი საზოგადოება ძალადობს.

1. გვატყუებო ----------1
2. მოკლულ მუცალს მარჯვენა მოაჭრა ----------1
3. როდესაც ალუდამ კურატი დაკლა ----------1
4. თემისა და პიროვნების დაპირისპირებისას ღირსეული პიროვნება თემზე მაღლა დგას --1

8. ბეკინა სამანიშვილი ჯიუტი და ეგოისტია (ამპარტავანია). არისტო ქვაშავიძე გაიძვერა და გაქნილია (ეშმაკია). კირილე მიმინაშვილი უდარდელი და ფუქსავატია.

1. „გადაპრანჭულია“ ----------1
2. ვირეშმაკაა ----------1
3. დარდიმანდია (შფოთისთავია) ----------1

9. თეიმურაზ ხევისთავი დაუძლურებულ და დეგრადირებულ ქართველ თავადაზნაურთა კრებითი სახეა. ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის ეს რომანი იმიტომ იყო მიუღებელი, რომ მასში აისახა ბოლშევიკური წყობისათვის დამახასიათებელი ძალადობა და უსამართლობა.

1. უნებისყოფო ინტელიგენციას ----------1
2. რეალისტურად ასახავდა შექმნილ ვითარებას ----------1

10. „შუქთა მკრთალი მძივით“ მეტაფორაა.

1. მეტაფორა ----------1

11. არსაკიძემ დახატა ღმერთთან მებრძოლი იაკობი. არსაკიძის სურათის შესახებ მეფეს ფარსმანმა უთხრა. სინამდვილეში მეფემ დიდოსტატი შორენას სიყვარულის გამო დასაჯა.

1. ღმერთთან მებრძოლი იაკობი ----------1
2. ფარსმანმა უთხრა ----------1
3. ეჭვიანობა ----------1

12. მთავარი პერსონაჟი სიკვდილით იმიტომ დასაჯეს, რომ იგი ყველასაგან გამოირჩეოდა.

1. სხვებისაგან განსხვავდებოდა ----------1

II. წერითი დავალებების შეფასების კრიტერიუმები

თითოეული წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **25.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***<u>უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას</u>***.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, მითითებები მხოლოდ ერთ-ორი წინადადებით არის შესრულებული ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***<u>დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება</u>***.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული, ტექსტი ***ღრმადაა*** გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი ***მთლიანობაში ადეკვატურადაა*** გაგებული და გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	***ერთზე მეტ*** შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	1
5.	ტექსტი ***მთლიანობაში არაადეკვატურადაა*** გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და ***კარგადაა ორგანიზებული,*** მონაკვეთები ***თანამიმდევრულად და ლოგიკურად*** ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი *(დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ **ერთი-ორი** წინადადებით იქნება პასუხი გაცემული).*	3
2.	ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ***ნაწილობრივ დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა გამოყოფილი;*** ან ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები ***თანამიმდევრულად და ლოგიკურად*** ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, თუმცა ***ნაწილობრივ დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები ***თანამიმდევრულად და ლოგიკურად*** ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ***ნაწილობრივ დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** (არგუმენტირებულია) და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით.	6
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	5
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	4
4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***ორ*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	3
5.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	2
6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	1
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული.	0

IV კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება ***(მოცემულია*** მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ) და მსჯელობა ***დასაბუთებულია*** კონკრეტული მაგალითებით.	2
2.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება ***(მოცემულია*** მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ) და მსჯელობა ***დასაბუთებულია*** კონკრეტული მაგალითებით, თუმცა მოხმობილია ***ერთი*** არაადეკვატური მაგალითი; ანდა გამოყოფილია ტექსტის ***ერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა ***დასაბუთებულია*** კონკრეტული მაგალითით.	1
3.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები ***(მოცემულია*** მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ), მაგრამ ***არ არის*** დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით ან მოხმობილია ***ერთზე მეტი*** არაადეკვატური მაგალითი; ანდა ნაშრომში ***არ არის*** გამოყოფილი ტექსტის მხატვრული თავისებურებები ***(არ არის*** მოცემული მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ).	0

V კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VI კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი შეცდომები*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის ***შესაფერისი სტილი,*** აგრეთვე ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტური ხარვეზი.	2
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ***ლექსიკა მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტილისტური ხარვეზი.	1
3.	თხზულება სტილისტურად ***გაუმართავია.***	0

VIII კრიტერიუმი

№	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია ***ორზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	0

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ოთხზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	0